**ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის**

**ოქმი №1**

დ. ადიგენი 14 ნოემბერი 2018 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ლევან მუმლაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე- ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის საჯარო დაწესებულების პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი;

ხათუნა ჩაგუნავა - სატენდერო კომისიის წევრი - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საჯარო დაწესებულების პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი;

როინ ძაძამია - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო დაწესებულების პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი;

გიორგი ჩიხრაძე - სატენდერო კომისიის წევრი - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;

მაკა მაჭარაშვილი - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართალდარღვევათა ზედამხედველობის საკითხებში - კომისიის წევრი

სპარტაკ მაჭარაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;

თეა ბოჩიკაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში-იმყოფება შვებულებაში;

სოფიო გიქოშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში;

**დღის წესრიგი:**

**დაბა ადიგენისა და დაბა აბასთუმნის შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდის მომსახურების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის**

**სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ლევან მუმლაძემ სატენდერო კომისიის წევრებს განუცხადა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ს. მაჭარაშვილი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ლევან მუმლაძემ სხდომის მონაწილეებს წაკითხვით გააცნო **დაბა ადიგენისა და დაბა აბასთუმნის შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდის მომსახურების შესყიდვის** ელექტრონული ტქნდერის სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $12^1$ მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, კერძოდ:

- CPV 90600000 -ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები
- დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი;
- სამუშაოს დასრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით
- მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა განახორციელოს ხარჯთაღრიცხვის დანართი №1-ის შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;
- სამუშაოს სავარაუდო ღირებულება შეადგენს 25923 ლარს, დღგ-ს გარეშე
- *იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი* ***20%-ით*** *ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/ და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა უნდა დაასაბუთოს საექსპერტო, აუდიტორული ან/ და საშემფასებლო დადებითი დასკვნით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. პრეტენდენტის მიერ, დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.*

  *დასკვნაში დასაბუთებული უნდა იყოს, რომ წარმოდგენილ ფასების ცხრილში დაფიქსირებული ფასების შესაბამისად შეუძლია მომსახურების განხორციელება და შესაბამისად დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლობლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები, ინვოისი და სხვა)*

- ***სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში მითითებული უნდა იქნას დღგ–ს გარეშე (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ–ს გადამხდელად რეგისტრირებული). თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადებისას იქნება რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად,*** ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებლი შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა, სასაქონლო ზედნადების და შესრულებული სამუშაოს (ფორმა №2) საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი თავმჯდომარის წინადადება და ერთხმად დაუჭირეს მხარი ელექტრონული ტენდერის გამოცხადებას.

სატენდერო კომისიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს **დაბა ადიგენისა და დაბა აბასთუმნის შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდის მომსახურების შესყიდვის** ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია (თან ერთვის);
2. სატენდერო კომისიის აპარატის წევრს თ. ბოჩიკაშვილს დაევალოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არა უგვიანეს 2018 წლის 14 ნოემბრისა

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: /ლ. მუმლაძე/

სატენდერო კომისიის წევრი: /ზ. ჩაგუნავა/

/რ. ძაძამია/

/გ. ჩიხრაძე/

/მ. მაჭარაშვილი/

სატენდერო კომისიის სხდომის მდივანი: /ს. მაჭარაშვილი/

სატენდერო კომისიის აპარტის წევრები: /თ. ბოჩიკაშვილი/

/ს. გიქოშვილი/